პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 16 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

209 (907) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## შვებულებაში მიმავალო! არ შეარცხვინო შენი წითელი არმია.

იყავი მუდამ მისი ღირსეული შვილი, ყოველთვის მოწინავე საზოგადოებრივი და სამეურნეო მუშაკი!

ეს არის ჩემი უმთავრესი თხოვნა!

საზღვაო და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი

ფ რ უ ნ ზ ე.

## თავაშვებულობას და უდისციპლინობას დროა ბოლო მოეღოს

ჩვენ ბევრი ვსწერეთ და ვილაპარაკეთ დისციპლინის განმტკიცების შესახებ. უნდა ითქვას რომ ამ მხრივ დიდ შედეგებსაც მივაღწიეთ. მაგრამ როგორც იტყვიან ოჯახში თითო მახინჯი მაინც გამოერევაო. დღესაც აქვს ადგილი უდისციპლინობის და თავაშვებულობის შემთხვევებს ყაზარმის გარეთ. დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება ამხ. ნაძვის კორესპონდენცია, რომელიც მოგვითხრობს რამოდენიმე წითელ არმიელის ცუდ საქციელზე ცირკთან.

რა არის ეს თუ არა თავაშვებულობა და უდისციპლინობა. განა დისციპლინა და თავდაჭერილობა მხოლოდ მარტო წითელი ყაზარმის კედლებში არის საჭირო?

ის წითელ არმიელი, რომელიც ასე მსჯელობს მას ვერ შეუგნია რევოლიუციონური დისციპლინის შინაარსი და წითელ არმიელის მაღალი დანიშნულება. როგორც წითელ ყაზარმაში ისე [ყაზარმის გარეშე —ქუჩაში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში და სხვაგან წითელ არმიელი მუდამ უნდა იყოს შეგნების, თავდაჭერილობის და დისციპლინიანობის საუკეთესო მაგალითი. ის წითელ არმიელი, რომელიც უწესოდ იქცევა ყაზარმის გარეთ —ილანძღება, ყვირის, აყალმაყალს სტეხს, ის ჩირქს სცხებს მთელ წითელ არმიას და სახელს უტეხავს მას მოსახლეობის თვალში.

რასაკვირველია ასეთი უღირსი ჩვენს რიგებში ცოტანი არიან, მაგრამ ეს იმა'ს არ ნიშნავს რომ ჩვენ უყურადღებოთ უნდა დავსტოვოთ მათი საქციელი. ასეთ უდისციპლინობას და თავაშვებულობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მთელი წითელი არმიის და განსაკუთრებით თვით წითელ არმიელების მიერ. ნაწილის კედლის გაზეთებში შემოღებულ უნდა იქმნას სპეციალური განყოფილება, სადაც ასეთი ვაჟბატონები გაკიცხულ უნდა იქმნან.

ზედმეტი არ იქნება, რომ მოეწყოპოდეს აგრეთვე აგიტ-გასამართლებაც ასეთ თავაშვებულებზე.

ერთი სიტყვით დროა ყოველგვარ უდისციპლინობის შემთხვევას, ნასახსაც კი ბოლო მოუღოთ და სამუდამოთ აღმოვფხრათ ჩვენ სინამდვილიდან.

თითეული წითელი მებრძოლი მოვალეა სცდილობდეს თავისი სამაგალითო საქციელით ყოველ მხრივ ხელს უწყობდეს წითელი არმიის გამაგრებას და მისი ავტორიტეტის ამაღლებას.

ეს გარემოება არ უნდა დაივიწყონ არც შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებმაც. მათ გზაშიც და სოფელში დაბრუნებისას უნდა მოიქცენ ისე, როგორც ეს შეეფერება შეგნებულ და სერიოზული მუშაობისათვის მომზადებულ მუშაკებს.

მაშინ მათი მუშაობაც ნაყოფიერი იქნება და წითელი არმიის სახელი ყველა მშრომელისათვის უფრო საყვარელი და ახლობელი გახდება.

ყველგან და ყოველთვის წითელ არმიელი საუკეთესო მაგალითი უნდა იყოს წესრიგის და დისციპლინიანობის.

# ახალი რადიო-ამბები

## საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ორასი წლის თავი.

ამხ. კამენევის მისალმება.

15 სექტემბერს, მოსკოვში, დიდ თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა სამეცნიერო აკადემიის ორასი წლის იუბილეს გამო, რომელზედაც ამხ. კამენევმა წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა.

„—საბჭოთა კავშირის სატახტო ქალაქი,—სთქვა ორატორმა,—ღრმა პატივისცემით და სიამაყით ესალმება მეცნიერების დიდ ტაძარს—სამეცნიერო აკადემიას.

მე მგონია, რომ ჩვენ მოვიქცევით კარგათ, თუ აქ მთელი ქვეყნის მეცნიერების წარმომადგენლებს უამბობთ ჩვენ მომავალ ამოცანებზე და მუშაობაზე. ჩვენი იდეები იმდენათ მაღალია და უმწიკვლო, რომ ჩვენ არ გვეშინია არავითარი სასამართლოსი და მით უმეტეს მიუდგომელი მეცნიერების. მეცნიერება დღეს ესტუმრა სოციალიზმს იმ ქვეყანაში, რომელმაც ყველაზედ უწინ დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა.



ამხ. კამენევი.

დაე იცოდენ მეცნიერების წარმომადგენლებმა, რომ ჩვენ მივდივართ მათი გზით. მეცნიერებამ გამოიცნო ბუნების საიდუმლოებანი, მათ დაანაწილეს სხვა და სხვა ელემენტები ატომებათ, მათ მოსპეს მისტიკა. დაე გვიცნოს ჩვენ კომუნისტები ამ მეცნიერებამ, საკუთარ მიმდევრებათ და მოწაფეებათ (მქუხარე ტაში). დაე ნუ შეშინდებიან ისინი, როდესაც ჩვენ დავშალეთ კაპიტალისტური წესწყობილება და ავხსენით საიდუმლოება ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციისა. ჩვენ არ გვეშინია ჭეშმარიტების.

განა ამიტომ არ მოგვნათლეს ჩვენ ცივილიზაციის მტრებათ და განმანადგურებლებათ. განა ასეთსავე ბრალს არა სდებდენ გალილეის, ჯორდანო ბრუნოს, დარვინსა და სხვ.

დიახ, ჩვენ დამნაშავეები ვართ მათთან რომ დაურღვიეთ მყუდროება. ჩვენ სასიქადულოთ მიგვაჩნია, რომ ვეკუთვნით ისეთი დამნაშავეების რიცხვს, როგორიცაა დიდი სახელები: გალილეისა, ლაპლასისა, დიდროსი და სხვათა.

ჩვენ მუშაობაში, ჩვენ ყოველთვის ვხელმძღვანელობთ მეცნიერების კანონებით და ამიტომაა რომ ჩვენ ყოველთვის გამარჯვებულნი გამოვდივართ.

გაუმარჯოს მეცნიერების, შრომის და მუშათა რევოლიუციის კავშირს!

კამენევის შემდეგ ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც, რის შემდეგაც საზეიმო სხდომა დაიხურა „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

## გერმანიის ს. დ. პარტიის ყრილობა

გეიდელბერგში გაიხსნა ს. დ. პარტიის ყრილობა. ებერტის ქებით გამოდის ველსი.

შემდეგ ის აცხადებს კომუნისტურ პარტიის რღვევის შესახებ. ველსის სიტყვით, კომუნისტები აგზავნიან საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციებს, რომლებმაც ნახეს მხოლოდ „პოტიომკინის სოფლები“.



ველსი.

## რევოლიუციონურ გზაზე.

ინგლისის პროფკავშირების ყრილობა დასრულდა. ამ ყრილობის მნიშვნელობა როგორც ინგლისის მუშათა მოძრაობისათვის, ისე საერთაშორისო მთლიანი მუშათა ფრონტის საქმისათვის მეტად განუზომელია.

მან ერთხელ და სამუდამოთ ნათლად დაგვანახა ჩვენ, რომ ინგლისის მუშათა კლასი მტკიცედ დადგა რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე. ამას გვეუბნება ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუციები, რომლებიც რევოლიუციონური სულით არიან გასჭვალული.

ამას ამტკიცებს აგრეთვე ის გარემოებაც თუ რა დიდი როლი ითამაშეს ყრილობაზე ინგლისის კომუნისტებმა.

ყველა მათი რეზოლიუციები გადიოდა ხმის დიდი უმრავლესობით.

ყრილობამ მტკიცე საძირკველი ჩაუყარა საერთაშორისო მუშათა კლასის მთლიან ფრონტს. მან მოიწონა ღენერალური საბჭოს მუშაობა ამ მიმართულებით.

ინგლისის 6 ნახ. მილ. დარაზმული მუშა ამოუდგა გვერდში საბჭოთა კავშირის 5 მილიონიან პროლეტარიატს მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყრილობამ სასტიკად გაილაშქრა დოუესის გეგმის წინააღმდეგ და მოუწოდა გერმანიის მუშებს გაერთიანებული ძალით ებრძოლონ მას.

მაგრამ რაც ღირსშესანიშნავია —ეს ყრილობის დადგენილება იმპერიალიზმის შესახებ. მოგვყავს ეს რეზოლიუცია შემოკლებით:

„ყრილობა სასტიკ პროტესტს აცხადებს იმპერიალიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ და ადგენს: მხარი დაუჭიროს მუშათა მოძრაობას ბრიტანეთის იმპერიის ყველა ნაწილებში, მოაწყოს პროფკავშირები და პოლიტიკური მუშათა პარტიები; მხარი დაუჭიროს ბრიტანეთის იმპერიის ყველა ერების თვითგამორკვევის უფლებას და მასთან ამ ერების მისწრაფებას სრულიად გამოეყონ იმპერიას“.

ეს სასტიკი ლახვარია ინგლისის იმპერიალიზმისა და მისი მოციქულებისათვის. მაგრამ ყრილობა ამით არ დაკმაყოფილებულა. ის მიესალმა ჩინეთის მებრძოლ მშრომელთა მასებს, დაგმო ინგლისის მტაცებლური პოლიტიკა ჩინეთში და მოითხოვა იქიდან ინგლისის ჯარების დაუყონებლივ გამოყვანა.

ასეთია ყრილობის მუშაობის მთავარი მომენტები.

ცხადია ამ ყრილობით დიდათ უკმაყოფილოა მთელი შემთანხმებელთა ხროვა და ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზია.

განსაკუთრებით ის გამხეცებულია იმ ძმური სოლიდარობისათვის, რომელიც გამოსთქვა ყრილობამ საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშების დაკავშირებისა და დაახლოების გამო.

აქ უნდა აღინიშნოს აგრეთვე ყრილობის დადგენილება რომ საბჭოთა-კავშირს მიეცეს ყველა ის სავაჭრო შეღავათები, რომელსაც ინგლისის მთავრობა ანიჭებს სხვა სახელმწიფოებს.

ინგლისის ბურჟუაზია დორბლს ყრის, ის ემუქრება მუშათა კლასს და მის წარმომადგენლებს. მაგრამ ტყუილია, ის ამით ინგლისის პროლეტარიატის წინსვლას რევოლიუციონურ გზაზე ვერ შეაჩერებს.

ინგლისის მუშათა კლასმა შეიგნო თავისი ისტორიული მიზნები—კაპიტალიზმის დამხობა და ის კიდეც მიაღწევს ამ მიზანს შეიარაღებული რევოლიუციონური ბრძოლის საშუალებით.

—გ.

# ბანაკიდან წითელ ყაზარმაში

## სახელს გვიტეხენ.

შემთხვევით ერთ საღამოს მომიხდა ცირკში წასვლა. ვიყიდე ბილეთი, მაგრამ ძლიერ გაძნელდა შიგ შესვლა. შესავალ კარებში შემდეგ სცენას წავაწყდი: მეკარეს მოხვეოდენ ათარება წითელ-არმიელები და ყველა სთხოვდა შეეშვათ ისინი ცირკში.

— ამხანაგებო, კარებს მოსცილდით, უნდა დავკეტო, არ შემიძლიაო—ეხვეწებოდათ გამგე.მაგრამ არავინ უსმენდა. შემდეგ ცირკის სახურავზე მიაშურეს და როდესაც იქედანაც გამორეკეს, დაიწყეს ყვირილი,—ჩვენ წითელ-არმიელები ვართ და ვის აქვს ნება გაგვრეკონო.

— ამხანაგებს არ შეშვენით ასე მოქცევა. ჩვენი ნაწილები თავის დროზე დაყავთ ცირკში, თეატრებში და კინოებშიც. ყოველ დღე ამ გასართობების კარებზე რომ მივდგეთ და შეგვიშვით უფასოთ თქო, რომ ვიძახოთ არ ივარგებს. ეს არის წესრიგის დარღვევა, რასაც ყოველთვის უნდა გაურბოდეს შეგნებული არმიელი და ბოლოს ასეთი მოქცევა ერთიანად სახელს უტეხს და სცემს წითელი არმიის პრესტიჟს.

ნუ ჩავიდენთ ასეთ საქციელს.

წ.-არმ. ნაძვი.

## ბანაკიდან ყაზარმებში.

1-ლი ცალკე მესანგრე ასეული.

გათავდა საზაფხულო პერიოდის მუშაობა ბანაკად და ნაწილებიც დაუბრუნდა საზამთრო შენობებს. მართალია წითელ არმიელებს ცოტა გაუჭირდათ მანევრებზედ. მაგრამ დღეს ყველა ერთდაგვარ კმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ მეტი გამოცდილება და დაკვირვება მიიღეს მათ, მანევრებზე ყოფნით.

სამი თვე ნახევარი ბანაკში ყოფნამ ბევრი რამ შესძინა ამხანაგებს.

ხშირად შეხვდებით მათ ერთმანეთთან მობაასეს, რომლის დროს ისინი იგონებენ ზაფხულის განმავლობაში მიღებულ საუკეთესო შთაბეჭდილებებს.

საერთოდ წელს მნიშვნელოვანი იყო 1 ქ. მ. დივიზიის ნაწილების ბანაკი იმ მხრივ, რომ გარდა პირველი ლეგიონისა ყველა ნაწილები ერთად იყვენ თავშეყრილი, რამაც საშვალება მისცა მათ ახლოს გასცნობოდენ ერთმანეთის ყოფა-ცხოვრებას.

ხშირად იმართებოდა ალლუმები და უფ-პოლიტმომუშავეთათვის კრებები. დაარსდა ერთ-თვიანი სემინარული კურსები ჯარის ნაწილების მასწავლებლებისთვის და სხ.

სპეციალური ნაწილი, როგორც ჩვენი მესანგრე ასეული, მთელი საზაფხულო პერიოდში გამუდმებით მუშაობდა ველად: სახიდე, საგზაო, საამფეთქებლო, შეხამების და სანგრების აშენებაში. ჩვენი ნაწილის წ. არმიელებმა მეთაურთა და პოლიტ მომუშავეთა დახმარებით შეძლების და გვარად ჩაატარეს საზაფხულო პერიოდისათვის მოცემული ამოცანები.

დღეს ისევ დაუბრუნდით საზამთრო შენობებს და იმედი გვაქვს რომ ყოველგვარ ნაკლულევანებებს გამოვასწორებთ მოკლე დროის განმავლობაში.

ველოდებით ახალწვეულებს, რომლებიც დაიკავებენ შვებულთა ადგილებს. მათ აქ ხვდება წითელი ყაზარმა—სკოლა, ამხანაგები-უფ-პოლიტშემადგენლობა, რომლებიც მიიღებენ ძმურად და აღზრდიან მათ საბჭოთა ხელისუფლების დამცველ გმირებად.

უკვე მზად არის მათთვის სკოლა და ბიბლიოთეკა, სადაც საკმაოდ მოიპოვება სხვა და სხვა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები...

ნაცვლად 1924 წ. გაზაფხულზე გამოწვეულ ამხანაგებისა—სადარაჯოს იკავებს ახალწვეულები, რომლებმაც უნდა ღირსეულად და პატიოსნად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და დაიმსახურონ ისეთი სახელი, რომლითაც ისტუმრებს შვებულებს ამ ჟამად წითელი არმია.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

## რემედასის მუშაობა ჩვენს ნაწილში.

პირველი საკავშირო ასეული.

რემედასის მუშაობა საბანაკო პერიოდში ჩვენთან მიმდინარეობდა დამაკმაყოფილებლად. უჯრედში ირიცხებოდა სულ ოთხმოცდა ცხრა კაცი, მაგრამ რამოდენიმე წითელარმიელები და მეთაურები გადაყვანილ იქნენ სხვა ნაწილში, რის შემდეგ უჯრედში დარჩა სულ ოთხმოცდა ერთი კაცი.

პირველ ხანებში თვიური შემოსავალი საშუალოდ უდრიდა ორ მანეთს. ბანაკში განზრახული გვქონდა, რომ მოგვეწყო რემედასის სასარგებლოდ ფასიანი საღამო, მაგრამ არ მოხერხდა, ვინაიდან ხელს გვიშლიდა ხშირი ალლუმები. მოეწყო მხოლოდ ერთი კრება, სადაც გაშუქებული იქნა რემედასის მიზანი და მისი მნიშვნელობა. ამავე კრებაზე მოუწოდეთ ყველა წითელარმიელებს, ჩაწერილიყვნენ რემედასში, და არცერთი წითელ-არმიელი და უფპოლიტშემადგენლობა არ დარჩენილიყო უჯრედის გარეშე.

ბანაკიდან—ყაზარმაში დაბრუნებისთანავე მოეწყო რემედასის კუთხე, სადაც მოთავსებულია ლიტერატურა რემედასზე და გაკრულია იქვე სხვა და სხვა პლაკატები.

მოგვდის ჟურნალ „რემედასი“ და სხვა ლიტერატურაც.

უკანასკნელი თვის შემოსავალი უდრის ორ მანეთნახევარს, გაიყიდა ლიტერატურაც სამი მანეთისა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო ხანებში რემედასის მუშაობა ცოტა შენელდა; რისთვისაც საჭიროა ბიურო ცოტა გამოაცოცხლებდეს მუშაობას, რომ მეტი გავლენა მოახდინოს უჯრედმა არა წევრებზე.

სამხკორი კლდისძირელი.

## ჩვენი წრის მიღწევები.

არტ-სკოლის სამხკორთა წრე.

ლეგიონის სამხკორთა წრეში 20-მდე სამხკორებსა და პარტკორებს აქვთ თავი მოყრილი. პირველ ხანებში ამათ შორის არჩევითი წესით იყო 5 კაცი, დანარჩენებმა კი თავის სურვილით დაიწყეს მუშაობა წრეში. წრეში უფ-პოლიტშემადგენლობიდან შედის 4 ამხანაგი, დანარჩენები კი წითელ-არმიელები არიან. წრეში არა გვყავს ისეთი სამხკორი რომელსაც პირველდაწყებითი პრაქტიკა არ მიეღოს კედლის გაზეთში ნათანმშრომლობით.

სამხკორების დევნას და სხვა არა სასიამოვნო მიმართვებს მათდამი ადგილი არ აქვს და არც ჰქონია.

მეცადინეობა წრეში ყოველ კვირაში თუ არა ათ დღეში ერთხელ მაინც სისტემატიურად სწარმოებს. ამის მიზეზი უმთავრესად იყო ის გარემოება, რომ ხშირად რამოდენიმე დღეები გვიხდებოდა ველში ყოფნა. ბოლოს ყურადღება მიექცა ამ გარემოებასაც და თანდათანობით ცოცხლდება მეცადინეობა.

სამხკორი ბაშელი.

## შიკრიკისათვის საჭიროა ცხენი.

პირველი ლეგიონი.

ლეგიონის შტაბის შიკრიკს დიდი შრომის გაწევა უხდება უცხენობის გამო. ხშირია შემთხვევა, რომ შიკრიკი უსადილოდ რჩება, რადგან ვერ ასწრებს სხვა და სხვა დავალებების შესრულებას. ლეგიონის ბანაკად ყოფნის დროს სამნეო ნაწილის უფროსმა მისცა ცხენი შიკრიკს, მაგრამ საზამთრო შენობაში გადმოსვლის შემდეგ ისევ ჩამოართვა.

საქმის ჩქარი შესრულება და სხვა მიზეზებიც მოითხოვენ, რომ შიკრიკისათვის შტაბს ყავდეს ცხენი, რაც არც ისე ძნელი საქმეა.

იმედია ლეგიონის მესვეურები ყურადღებით მოეკიდებიან ამ გარემოებას და დაიხსნიან შიკრიკს მთელი დღის განმავლობაში სირბინისაგან.

სამხკორი კოკი.

# პარტიული ცხოვრება

პირვ. ლეგ. სამნეო ბუნდის კომუჯრედი.

11 სექტემბერს ჩვენს გუნდში შესდგა კომუჯრედის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: უვადო შვებულებაში მიმავალი არმიელების შესახებ და სხვა. კრებას მრავლად დაესწრენ უპარტიო წითელ არმიელებიც. სოფლად მიმავალ ამხანაგების მოვალეობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ჩხენკელმა, თუ როგორი ცოდნით და ენერგიით უნდა შეუდგენ სოფლის მეურნეობის აღმშენებლობის საქმეს.

მიმავალ წითელ არმიელებმა კრებაზე ერთხმად გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ ყოველგვარ მონაწილეობას მივიღებთ ახალი სოფლის აღმშენებლობაში. ფიცს ვსდებთ რომ სოფლად მისვლისთანავე განვახორციელებთ ჩვენს სიტყვებს და შევეცდებით კულტურულადაც დავაწინაუროთ ის.

წ. არმ. ის. ხარებაძე.

### ცხენ. ლეგიონის მე-2 კომუჯრედი გამოცოცხლდა.

ჯარების შეკრების მოძრაობიდან საზამთრო ბინაზე დაბრუნებამდე ჩვენი კომუჯრედის წევრთა რიცხვი მცირე იყო, ლეგბინაზე მოხდა ყველა კომუჯრედების წევრთა გადაჯგუფება და ჩვენი კომუჯრედიც შეივსო, როგორც პარტიის წევრებით, ისე კანდიდატებით.

მორიგი დახურული სხდომა პირველად მოწვეული იქნა 12 სექტემბერს—ლეგიონის დაბრუნების მესამე დღეს. კომუჯრედმა ამ დღეს გაარჩია სამი საკითხი: პარტდისციპლინა, კომუჯრედის სამი თვის მუშაობა და მიმდინარე საკითხები.

პარტდისციპლინა საკმაოდ გააშუქა ესკთავმა და გააცნო კომუჯრედის ახალ წევრებს მათი მოვალეობანი.

კომუჯრედის მდივნის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჯარების შეკრებისათვის მოძრაობის დროს, ესკადრონში და ესკადრონის მიერ განვლილ სოფლებში კომუჯრედის წევრების და კანდიდატების მცირე რიცხვის გამო, აგრეთვე ესკადრონის წითელ არმიელთა პატარ-პატარა ჯგუფებად დაქსაქსვით, მუშაობა სწარმოებდა ინტენსიურად, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ იქმნა შესრულებული სამანევრო მუშაობის გეგმა. მაინც, შეძლებისდაგვარად ახ-კომკავშირელებს ჩაუტარებიათ სოფლად ორი კრება და ორი მოხსენება.

გადახალისებულმა კომუჯრედმა აღნიშნული მუშაობა არ სცნო ფრიად დამაკმაყოფილებლად და კომუჯრედის შემადგენლობის პარტწევრების და კანდიდატების საკმაო რიცხვით გაძლიერების გამო გამოჰყო კომუჯრედის ბიურო სამი ამხანაგისაგან, რომელთაც დაავალა შემდეგში კოლექტიური მუშაობისათვის გეგმის გამომუშავება, რათა ყველა კომუჯრედის წევრები ჩაბმული იქნენ ნაყოფიერ მუშაობაში.

აქვე არჩეულ იქმნა პარტკორი.

იმედია, ჩვენი ახლად გადახალისებული კომუჯრედი მთელი თავის ძალ-ღონით გააღრმავებს თავის საქმიანობას წითელარმიელთა შორის და თავის აქტივობით წინ წასწევს კომუჯრედის საქმეს ყოველ დაკისრებულ ამოცანების გატარებით.

პარტკორი ანოკვა.

# ტერ-შეკრებაზე

## ჩვენი საქმიანობიდან.

მე-6-ე ლეგ. 3 ე ათასეული.

მეექვსე ლეგიონმა მთელი თავისი ნაწილებით შეიყარა თავი ბანაკში. აქ დიდი მუშაობა სწარმოებს ამ ჟამად. ლეგიონი ითვალისწინებს ყველა წერტებიდან ჩამოსულ ნაწილების მუშაობას და გამოყავს საერთო დასკვნა თავისი ნაწილების მეცადინეობიდან.

ეს მუშაობა მიმდინარეობს ყველა დარგებში. არც ლეგიონის ათასეულების დრამატიული წრეები დარჩა უყურადღებოთ. კლუბის გამგეობამ დანიშნა შეჯიბრი ათასეულების დრამატიულ წრეებს შორის. პირველი სანიმუშო საღამოს გამართვა გამგეობამ არგუნა მესამე ათასეულს, რომელიც შეუდგა მზადებას და 13 სექტემბერს ათასეულის დრამ-წრემ ამხ. ჰანკვეტაძის ხელმძღვანელობით გამართა შემდეგი შინაარსის საღამო:

წარმოდგენილი იქნა რევოლიუციონური პიესა „სიკვდილით დასჯა“ სამ მოქმედებათ შემდეგ „ბუდდა“ ერთი მოქმედებათ და ბოლოს გაიმართა სომხური სცენები, დეკლამაცია და იმღერა ათასეულის გუნდმა.

შესრულებული იქნა: „ზამთარი“, ტრიო, დუეტი, ურმული, ინტერნაციონალი და სხვა. სულ ბოლოს კი გაიმართა ცეკვა თამაში. საღამოზე უკრავდა ათასეულის სამხედრო ორკესტრი.

წარმოდგენაში და საერთოდ საღამოს გამართვაში მხოლოდ მესამე ათასეულის ძალები ღებულობდენ მონაწილეობას. როლები ყველას კარგათ ჰქონდათ შესწავლილი. მეტი მხიარულება გამოიწვია სომხურმა სცენებმა.

ანტრაქტები ძლიერ მოკლე იყო. საღამო დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული.

ამის შემდეგ საღამოს გამართავს პირველი ათასეული.

სამხკორი მეთვალყურე.

## მე-3-მე რაიკომის კომკავშირელები ჩვენთან.

მე 6 ტერ ლეგიონი.

ლეგკლუბის გამგეობის დადგენილების თანახმად ჩვენ კავშირი უნდა დაგვეჭირა თბილისის ორგანიზაციის კომკავშირის მე-3-მე რაიკომთან. ამ მიზნით 10 სექტემბერს გვეწვიენ კომკავშირლები მე-3 ე რაიკომიდან, დაათვალიერეს ყველა ასეულების ლენკარვები და ლეგიონის სანიმუშო ლენკარავი, რამაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

საღამოს შეუდექით მზადებას წარმოდგენის დასადგმელად და მიუხედავად იმისა რომ ცუდ ამინდს აპირებდა მაინც დაიდგა პიესები ქართულ და რუსულად.

პიესებისათვისყველა მოთამაშენი კარგად იყვენ მომზადებული.

საღამოც საუცხოოდ იქნა ჩატარებული, და ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დ ასტოვა წითელ არმიელთა მასაზე

მესამე რაიკომის კომკავშირელებმა აღწერეს ჩვენი ყოფაცხოვრება და ჩვენ კი მათი. წითელ არმიელები და კომკავშირელები ჯგუფ-ჯგუფათ საუბრობდნენ სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. კვირას განზრახულია ფეხბურთის თამაში მეგობრული შეჯიბრის სახით, ლეგიონის ფეხბურთა და მე-3-მე რაიკომის ფეხბურთელთა შორის. იმედია შეკავშირებული ძალებით, გაერთიანებული ფრონტით და ჩვენი საქმიანი მუშაობით ჩვენ მივაღწევთ ჩვენს მიზანს.

სამხკორი ესმაშვილი.

# შვებული წითელ არმიელი და სოფელი

## ებრძოლე უკანონობას, განამტკიცე რევოლიუციონური კანონიერება.

სოფლის აღორძინების და წინმსვლელობის საქმეში დიდ როლს თამაშობს რევოლიუციონური, კანონიერების განმტკიცება. რას ნიშნავს რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცება? ეს ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების ყველა დადგენილებები და განკარგულებები სავსებით და სისწორით თავის დროზე ტარდებოდეს ცხოვრებაში, რევოლიუციონური კანონიერება სავსებით იქნას დაცული.

სავალალოდ უნდა აღინეშნოს, რომ დღემდი ბევრ შემთხვევაში ეს ასე არ ხდებოდა. განსაკუთრებით დიდ ბოროტებას ამ მხრივ ვ:მჩნევთ სოფელში, სადაც ადგილობრივ ხელისუფლების აპარატში იკალათებენ თავს სხვა და სხვა გაიძვერა, ბნელი ელემენტები, ძველი მოხელეები, რომლებიც ბოროტად იყენებენ თავის თანამდებობას, ტყავს აძრობენ ხალხს და ერთი სიტყვით ზიანის მეტი არაფერი არ მოაქვთ გლეხობისათვის.

რევოლიუციონური კანონიერების მტერია აგრეთვე სოფლის საერთო უკულტურობა. სოფელში იშვიათად მოიძებნება საკმაოდ განვითარებული და გამოცდილი მუშაკები. მათ არა ყოველთვის სწორად გაეგებათ ცენტრალურ მთავრობის ამა თუ იმ დადგენილების შინაარსი, და ამ უვიცობის შედეგია ის, რომ დადგენილება ტარდება დამახინჯებულად ე. ი. არა ისე როგორც უნდა გატარებულიყო.

ყოველივე ეს უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში. მათ გონიათ რომ საბჭოთა ხელისუფლება ხელს უსვამს ასეთ მავნე პირებს. პირიქით, კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად სდევნის ასეთ პირებს.

რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცების საკითხი გაირჩა აგრეთვე მესამე საკავშირო საბჭოთა ყრილობაზე და გამოტანილ იქნა სათანადო დადგენილებაც. მაგრამ მარტო დადგენილება არ კმარა. საჭიროა მისი ცხოვრებაში გატარება. გამტარებლები კი თვით მუშები და გლეხებია. უკანონობას, ბოროტმოქმედებას, სოფლის ყოველგვარ უკუღმართობას და უკუღმართებას ყველამ უნდა ვებრძოლოთ. ყველა დანაშაულობანი გამომზეურებული იქნას, ყველა ბოროტ-მოქმედებანი გამომჟღავნებული. არავინ არ უნდა დაიზოგოს ამ მხრივ და სასტიკად დასჯილ იქმნას.

და აი ამ საქმეში—რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცებაში შვებული წითელ-არმიელი პირველი უნდა იყოს. მან სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ყოველგვარ ბოროტმოქმედებას და სოფლის ბნელ პირებს. ამასთანავე შვებული ვალდებულია ცენტრალური მთავრობის ყველა დადგენილებები კარგათ შეისწავლოს, განუმარტოს გლეხებს და თვალყური ადევნოს რათა ახეთები სისწორით ტარდებოდეს ცხოვრებაში.

ერთბაშად რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცება და უკანონობის მოსპობა არ შეიძლება. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი, ენერგიული ბრძოლით.

რევოლიუციონური კანონიერებას აგრეთვე დიდათ შეუწყობს ხელს სოფლის კულტურულად ზრდა. ამიტომაც შვებული ვალდებულია ყოველ მხრივ იზრუნოს სოფლის განათლებაზე. და რაც უფრო მეტად განმტკიცდება და გამაგრდება რევოლიუციონური კანონიერება, მით უფრო სწრაფად და ჩქარი ნაბიჯით წავა წინ სოფელი აღორძინების და აღდგენის გზაზე სოციალიზმისაკენ.

—ე.

## დარჩენილები მიმავალთ

### წითელ არმიელების წერილები შვებულებაში მიმავალ არმიელებისადმი.

**უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებო გქონდეთ კავშირი თქვენ ნაწილთან.**

ამხანაგებო, თქვენ პირნათლათ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე და ეხლა მიდიხართ უვადო შვებულებაში.

ნაწილში ყოფნის დროს თქვენ ხშირათ გამოგიცდიათ გაჭირვება, მაგრამ აქ ყოფნის დროს მაინც ბევრი რამ კარგი შეისწავლეთ.

თქვენ შეიგნეთ თუ ვინა ხართ, ვინ არის თქვენი მტრები, ვის ინტერესებს იცავს საბჭოთა რესპუბლიკები და სხვა.

შენ საკმაო წარმოდგენა გაქვს პოლიტიკაზედ, სარწმუნოებაზედ, მიწაზედ, მეცნიერებაზედ და ცხოვრების გაუმჯობესებაზე.

ერთი სიტყვით თქვენ შეიქენით საბჭოთა რესპუბლიკების ნამდვილი შეგნებული მოქალაქეები. ყველა ეს კი თქვენ გასწავლეს წითელ ჯარში; მაშ ნუ დაივიწყებთ, თქვენს აღმზრდელს წითელ ჯარს, იქონიეთ მჭიდრო კავშირი თქვენს ნაწილთან, გამოუგზავნეთ მას წერილები და შეატყობინეთ თუ როგორი მდგომარეობაა სოფელში; სამაგიეროთ ის თქვენ მოგწერს თავის მდგომარეობის შესახებ.

წ. არმ. ანტონაშვილი კოლა.

### უვადო შვებულებაში მიმავალო, იზრუნე შინაურ საქონელზე.

ეხლა უვადო შვებულებაში გაშვებული ისევ შენს სახლს უბრუნდები და დარწმუნებული ვართ, გული გწყდება წითელი ყაზარმის, წითელი კუთხეების, სხვა და სხვა სამეცადინო საათების, უფშემადგენლობის და დარჩენილი წითელ-არმიელების მოშორებაზე.

როგორც ხედავ, ამხ. წითელარმიელო, წითელი არმია და შენი ოჯახი ერთიერთმანეთის დამატება—შევსებაა. შენი ოჯახი საფუძველია შენი მუშურ-გლეხური ქვეყნისა, ხოლო წითელი არმია ამ შენი ოჯახის დამცველია! რადგან ეს ასეა, სახლში მისვლისათანავე ამ შენი ქვეყნის საფუძვლის, შენი ოჯახის გამაგრებას შეუდექი. შენი ოჯახი ისე არ გამაგრდება, თუ შინაურ საქონელს ჯეროვანად არ მოუარე და არ გაამრავლე. თუ შენ საქონელი არ გეყოლება, ვერც ოჯახს მოუვლი და ვერც შენი ოჯახის დამცველ წითელ არმიას მიაწვდი საჭირო სურსათ-სანოვაგეს. გამოიყენე წითელ ჯარში მიღებული ცოდნა და დაეხმარე სოფელს მისი საქონლის შენახვის საქმეში. ეხლა თითქმის მთელ საბჭოთა საქართველოში მოდებულია შინაურ საქონელზე სხვა და სხვა გადამდები სნეულებანი: საქონლის ჭირი, ჯილეხი (ციმბირის წყლული) და სხვა. დაეხმარე ამ სნეულებათა საწინააღმდეგო ბრძოლის საქმეში სოფლის ალმასკომებს და საქონლის ექიმებს და გადაარჩინე სოფლის საქონელი დაღუპვისაგან. აბა, გაიხსენე, ამხ. წითელარმიელო, ყველაფერი ის, რაც ამ ავადმყოფობის შესახებ უთქვამთ შენთვის წითელ ყაზარმაში და რაც შენს გაზეთ „წითელ არმიელში“ წაგიკითხავს.

ჭირთან ბრძოლის საქმეში უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი თავდაცვის ზომებით:

1. არ უნდა წავიდეთ არც მარტო და არც საქონლით იმ სოფლებში და განსაკუთრებით არ უნდა შევიდეთ და გავჩერდეთ იმ ეზოებში, სადაც საქონელზე ჭირია.

2. არ უნდა წამოვიყვანოთ ამ სოფლებიდან არც პირუტყვები და არც უნდა მოვიტანოთ იქედან ისეთი ნაწარმოებები, როგორიც არის, მაგალითად: ხორცი, ქონი, ერბო, ყველი, მატყლი, ტყავი და საზოგადოთ ისეთი საგნები (თივა, ჩალა, ბზე და სხვა), რომლებიც შესაძლებელია გასვრილი იყოს ჭირიანი საქონლის განავალით.

3. არ უნდა გაუშვათ ჩვენი საქონელი საბალახოთ იმ საბალახოებზე, სადაც ჭირით ავადმყოფი საქონელი ბალახობდა, ან ბალახობს.

4. მთელ საქონელს ჭირის საწინააღმდეგო შრატით უნდა ააცრათ და ვეტპერსონალს, როგორც სხვა დროს, ისე ამ აცრის დროსაც, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ.

ექიმი-ვეტერინარი
ძ. ფარეიშვილი.

## 1925-26 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

**რატომ არის საჭირო გადასახადი.**

სოფლის მეურნეობა რომ იქნეს აღდგენილი და სასურველ დონეზე დაყენებული, ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტს გათვალისწინებული აქვს ისეთი გადასახადის დაწესება რომელიც მძიმედ არ დააწვება გლეხის მეურნეობას და ის თავისუფლად შესძლებს მის გადახდას. ამიტომ შვებული წითელ-არმიელის მოვალეობას შეადგენს სოფლად მუშაობის დროს აუხსნას და დააჯეროს გლეხი გადასახადის საჭიროებაში და სარგებლიანობაში სასოფლო-სამეურნეო დარგის აღდგენის საქმეში. შვებულმა წ. არმიელმა გლეხს უნდა აუხსნას, 1. თუ ახალმა კანონმა რამდენად შეამცირა გადასახადის რაოდენობა, 2. შემოიღო წესი, რომლის დროს გლეხობას წინდაწინ ეცოდინება, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს მან და 3. ერთხელ გამოანგარიშებული და მიღებული გადასახადი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს გადიდებული. ცოცხალ მაგალითებით უნდა აუხსნას გლეხებს ახალი კანონის უპირატესობა ძველთან.

**რას ხმარდება გადასახადი.**

გასულ წელში სას.-სამ. გადასახადის უმნიშვნელო თანხა დარჩა თემის განკარგულებაში ახალი კანონის ძალით თემის განკარგულებაში რჩება მთელი გადასახადის ნახევარი. მაგალითად, თუ გლეხი იხდის ერთ მანეთს, აქედან ათი შაური დარჩება მისივე თემში, მისივე სოფლის საჭიროებისათვის. შვებულმა უნდა შეაგნებიოს გლეხს, რომ ამ ათი შაურის დახარჯვა მისი საქმეა, რომ მან უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა შემოსულ გადასახადის განაწილებაში სხვა და სხვა საჭიროებისათვის.

1925—26 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მიზანია სოფლის საწარმოო ძალების განვითარება, რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცება და გლეხობის ჩაბმა ფართო აღმშენებლობაში.

**კანონი უნდა იქნეს დაცული.**

შვებულ წითელ-არმიელმა უნდა აწარმოვოს ბრძოლა ადგილობრივ ორგანოების თვითნებობის წინააღმდეგ და ყოველივე მათი უკანონო ნაბიჯი უნდა ამხილოს კრებაზე, კონფერენციებზე თუ გაზეთის ფურცლებზე. გადასახადის დროს არავითარ ადმინისტრატიულ დაპატიმრებას და ჯარიმას ადგილი არ უნდა ქონდეს. ბოროტმოქმედებაში შემჩნეულნი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი. შვებულმა ხელი უნდა შეუწყოს გადასახადის სწორად და თავის დროზე აკრეფას და განუმარტოს გლეხობას მისი უფლებები და მოვალეობანი.

ასეთი მუშაობით შვებული წითელ-არმიელი დიდათ შეუწყობს ხელს გადასახადის თავის დროზე ჩაბარების საქმეს.

## რა უნდა აკეთოს უვადო შვებულებაში წასულმა სოფლად.

**კულტურულ ფრონტზე.**

მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდ მუშაობას აწარმოებს სოფლის კულტურულათ დასაწინაურებლათ, მიუხედავათ ამისა სოფელში მაინც დიდი შეუგნებლობა და სიბნელეა. შვებულმა აქეთ უნდა მიმართოს თავისი გულისყური. სოფელში ეხლა მრავალნაირი კულტურული დაწესებულებაა: ქოხ-სამკითხველო, სახალხო სახლი, სხვა და სხვა წრეები და სხვა. მუშაობა ამ ორგანიზაციებში, ხშირად ვერა დგას თავის სიმაღლეზე; მაგალითად, ქოხ-სამკითხველო. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხების გათვითცნობიერების საქმეში. მას კი, ხშირათ არა ყავს შესაფერი გამგე, რომ გლეხებს ხშირათ უკითხოს გაზეთები და სხვა... შვებული უნდა დაუახლოვდეს ქოხ-სამკითხველოს, მოაწყოს ხმა-მაღალი კითხვა, დაუხლოვდეს სოფლად აგრონომის მუშაობას.

სოფლის ალმასკომშიაც ხანდახან ვერაა საქმეები წესიერათ. შვებული წითელი არმიელი უნდა დაუახლოვდეს აღმასკომის მუშაობასაც.

გარდა ამისა სოფლად ფეხი აქვს მოკიდებული ათასნაირ ცრუ-მორწმუნეობას. აქ საჭიროა მეტად ფრთხილი მუშაობა, რომ გლეხებმა შიშის ქვეშ კი არ უარყონ მათი ადათ-ჩვეულებანი, არამედ გულწრფელად დარწმუნდენ, ასეთების მიზანშეუწონლობასა და უსარგებლობაში. საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა აგრეთვე სოფლათ ექიმბაშობასთან.

ექიმბაშობა ეს უკულტურობის და შეუგნებლობის ნაშთია ჩვენ სოფლებში. მთავრობა მათ წინააღმდეგ აწარმოებს ბრძოლას და აქ მას უნდა მიეშველოს უვადოთ შვებულიც. გაუგზავნეთ გაზეთებს ცნობა, რომ ამა და ამ სოფელში ესა და ეს ექიმბაშია და ტყავებს ხალხსთქო.

**წრეები სოფლათ.**

გამოცდილებით ვიცით, რომ არც ერთი სახის მუშაობას იმდენი სარგებლობა არ შეუძლია მოიტანოს რამდენიც წრეების მუშაობას. სოფლათ ჩასვლისას საჭიროა ამ გარემოებასაც მიაქციოთ ყურადღება. იქ უმთავრესათ დაარსებულ უნდა იქნას ისეთი წრეები, რომელთაც მეტი დამოკიდებულება აქვთ გლეხის ცხოვრებასთან. ასეთია, მაგალითად სასოფლო-მეურნეობის შემსწავლელი წრე, წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი წრე, ანტი—სარწმუნოებრივი წრე, საზოგადო-განვითარების წრე. და სხვა. ავიღოთ ვსთქვათ საზოგადო განვითარების წრე. აქ შეიძლება ჩავითრიოთ მუშაობაში სოფლის მასწავლებელი, შევკრიბოთ გლეხები, განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობა, მოვაწყოთ საინტერესო წიგნების საზოგადო კითხვა და სხვა.

თუ შვებულებაში წასულს თვით არ შეუძლია დამოუკიდებლათ წრეების ხელმძღვანელობა, ისიც დიდი სიკეთე იქნება თუ იგი ასეთი წრეების დაარსებას ითავებს და აქტიურათ მომუშავე ხალხს გამონახავს.

ასეთი მისიის შესრულება კი არ გაუჭირდება ჯარში, კულტ-მუშაობაში გამოცდილ ამხანაგს.

დ.

# უვადო შვებულებაში მიმავალ წ. არმიელთა შორის.

მოახლოვდა დრო 1924 წ. მაისში გამოწვეულ წითელ არმიელთა უვადო შვებულებაში გაშვება ყველა. ნაწილების უფროსები და უფპოლიტშემადგენლობა ემზადება და აწარმოებენ მუშაობას, იმისთვის, რომ გაშვება მოხდეს როგორც წესი და რიგია. ეტანებიან და არჩევენ ისეთ საკითხებს, რომლებიც ყოველ დღიურად შეხვდებათ უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს სოფლად,

თვით წ. არმიელებიც სიამოვნებით უსმენენ მათ, ვინაიდან ისინი გრძნობენ პასუხის მგებლობას მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე. მათ კარგად იციან, რომ ჩვენი მეურნეობა ვერ დგას სათანადო დონეზე და მას ესაჭიროება მოღონიერება. ამ მხრივ სამაგალითოა პირველი ქართული ლეგიონის უვადო შვებულებაში მიმავალი წ. არმიელთა შემადგენლობა, ამ ამხანაგებმა რამოდენიმე ხნის წინედ გაიგეს, რომ ისინი უნდა წავიდნენ უვადო შვებულებაში. ეს ხმა უეცრად დატრიალდა წითელ არმიელთა შორის.

გადავედით კარვებიდან საზამთრო შენობაშიც და აქ უკვე წესიერად შეუდექით მზადებას წ. არმიელების უვადო შვებულებაში გაშვებისათვის.

ხშირად გაისმის ლეგიონში მიმავალ წ. არმიელთა ხმები: „ამხანაგებო, ჩვენ შევისწავლეთ ამ თოფებზე და ტყვიამფრქვევლებზე ის რაც ჩვენთვის იყო საჭირო და ეხლა კი მივდივართ სოფლად სადაც უნდა ვაკეთოთ სოფლის საქმე, აქ კი მოდიან ჩვენი უმცროსი ამხანაგები, რომლებიც ჩვენ გამოგვცვლიან, რათა შეისწავლონ ის, რაც ჩვენ შევისწავლეთ წითელ ყაზარმაში. დავასუფთაოთ კარგად, თოფები, რომ ჩვენმა უნცროსმა ძმებმა არ გვისაყვედურონ“.

ლეგიონში ხშირად იმართება საერთო კრებებიც, სადაც კეთდება მოხსენებები ჩვენს სამხედრო და პოლიტიკურ მიღწევებზე. ერთხელ კიდევ ახსენებენ მიმავალ არმიელებს თავის მოვალეობას, არ დაივიწყონ სამხედრო ცოდნა, ხელი შეუწყონ სოფლად პოლიტიკური ცოდნის გავრცელებას და სხვა.

ამის შემდეგ, კრებაზე გამოდიან წ. არმიელები.

სხვათა შორის აღსანიშნავია ერთ მიმავალ არმიელის სიტყვა მან შემდეგი განაცხადა:

„ამხანაგებო ჩვენ გრძელ ვადიან შვებულებაში მიმავალ წ. არმიელები კარგად ვგრძნობთ თუ რა შევიძინეთ წ. ყაზარმაში, ჩვენი ძვირფასი ხელმძღვანელის და ამხანაგების მეოხებით. ჩვენც ფიცსა ვდებთ ჩვენს ხელმძღვანელებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ იმ ცოდნას, რომელიც მივიღეთ აქ წ. ყაზარმაში, მოვახმართ მშრომელ ხალხს.

ამხანაგებო, დავიკავოთ წერილობითი კავშირი როგორც უფ-პოლიტ შემადგენლობასთან ისე წ. არმიელებთან, რომ ჩვენ ერთმანეთთან კავშირის დაჭერით უკეთ შევსძლოთ, როგორც სოფლის, ისე სამხედრო ნაწილების ნაკლის გამოსწორება.“ ამხ. ამით დაათავა თავისი სიტყვა და შემოიტანა კონკრეტიული წინადადება, წერილობითი კავშირის დაჭერის შესახებ, დასმული იქნეს მიმდინარე საკითხებში, რასაც ყველა სიამოვნებით შეხვდა.

ამნაირად წამსვლელებმა და დარჩენილებმა ერთმანეთს მისცეს სიტყვა, რომ ხშირად სწერონ წერილები ერთმანეთს ნაწილისა და სოფლების ცხოვრებაზე.

იო. მაიხაია.

# მოგვეცით გადადუღებული წყალი.

**1-ლი საარტილერიო ლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონში ყურადღებას არ აქცევენ, რომ მუდმივად გვქონდეს გადადუღებული წყალი. არმიელები იძულებული ხდებიან დაიკმაყოფილონ წყურვილი აუდუღარი წყალით, რამაც ცუდი შედეგების წინ დაგვაყენა. ლეგიონში თავი იჩინა დეზინტერიამ და შესაძლებელია ძლიერ გავრცელდეს, მით უმეტეს ამ ავადმყოფობის გამოჩენის შემდეგ არ გვაქვს გადადუღებული წყალი.

საჭიროა ლეგიონის სამნეო დარგის უფროსმა იზრუნოს და ლეგიონში გვქონდეს გადადუღებული წყალი. საკვირველია, ექიმიც რატომ არ აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას. მოგვეცით გადადუღებული წყალი.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

# სასტიკად უნდა აეკრძალოს.

წითელ არმიისა და ფლოტის კლუბში ყველაფერი რიგზეა, ყოველ დღე თავის რიგზე უშვებენ ახალ-ახალი სურათებს კინოში, იდგმება წარმოდგენები, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია ასეთი საქმის მომგვარებელი. ამასთანავე საუცხოვოდ არის დაცული სისუფთავეც, არის გადადუღებული წყალიც წითელ არმიელებისთვის და სხვა.

ამ შესანიშნავ და საუცხოვოდ მოწყობილ კლუბსა და ბაღში ერთ არა სასურველ მოვლენას აქვს ადგილი, რომელიც თითქმის ყველაფერს უკარგავს ელფერს.

არ შემიძლია ვსთქვა, ბილეთების საშვალებით დადიან თუ უბილეთოთ, მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ ყოველ ღამე ბაღი სავსეა ვიღაცა ქუჩის მაწანწალებით, რომლებიც თავიანთ გარყვნილი მოქმედებით არ აძლევენ თავისუფლად გასეირნების საშვალებას წითელ-არმიელებს და მათ ცოლებს თუ დებს. ასტეხენ საშინელ ყვირილს; გინებას და ვინ იცის კიდევ რას.

გასართობათ და გასასეირნებლად მოსული დაღალული წითელ-არმიელები იძულებულნი არიან დასტოვონ აღნიშნული ბაღი და ისედაც დაწყვეტილი დაბრუნდნენ ნაწილში. იმედია ასეთ არა სასურველ მოვლენას მიექცევა ყურადღება ვისგანაც საჭიროა და მოგვაშორებენ ასეთ გარყვნილი ქუჩის მაწანწალებს.

სამხკორი დურბინდი.

# უცხოეთის არმიებში

**საფრანგეთის გემთსაალმშენე ბლო პროგრამა.**

საფრანგეთის სენატმა დაამტკიცა გემთსაალმშენებლო ახალი პროგრამა. მიმდინარე წელში გემების დასამზადებლად საჭირო იქნება მხოლოდ 35 მილიონი ფრანკი. პროგრამის სიმძიმის ცენტრი ამნაირად გადატანილია 1926 წლისათვის.

განზრახულია ერთტიპიანი კრეისერის აგება. (მისი წყალტევა ედრება 10.000 ტონს, სიგრძე 185 მეტრი.) კრეისერზე მოთავსებული მანქანები იქნებიან 130.000 ცხენის ძალის. სიჩქარე 35 კვანძი საათში. კრეისერის ახალი ტიპის კოშკებზე მოთავსებული იქნება 8 რვა-რვა დიუიმიანი ზარბაზნები, რომლებიც სავსებით იქნებიან დაცული შხამიანი ჰაერებისაგან. ამათ გარდა კრეისერზე იქნება დადგმული ჰაეროპლანების საწინააღმდეგო 8 მსწრაფლ მსროლელი ქვემეხები და 4 ნაღმის აპარატები. კრეისერზე მოთავსებული იქნებიან აგრეთვე ორი მსუბუქი დამზვერავი ჰაეროპლანები.

მიუხედავათ ასეთი დიდი ღირსებისა, აღნიშნული კრეისერი მაინც ჩამოუვარდება იტალიურ კრეისერებს, რომლებსაც იმავე წყალტევით, აქვთ უფრო ძლიერი მანქანები და გაუმჯობესებული იარაღები.

შემდეგ უნდა აიგოს სამი ლიდერი 2.650 ტონი წყალტევით. ამათში ორი „შაკალის“ ტიპის ლიდერები უკვე შეკვეთილია.

ისინი შეიარაღებული იქნებიან საკრეისერო კალიბრის გაუმჯობესებული იარაღებით (5,5 მეათედი დიუიმ. ქვემეხებით). ოთხი ნაღმოსნები შეკვეთილი იქნებიან ამ ახლო მომავალში (მათი წყალტევა ედრება 1.400—1.500 ტონს.) შეიარაღებული იქნებიან ოთხი 5,1 დიუიმიანი ქვემეხებით.

შვიდი წყალქვეშა ნავი უკვე შეკვეთილია შერბურგსა, ლორიონსა და ბრესტში. ამ ნავებს წყლის ზედაპირზე ექნებათ 16 კვანძის სიჩქარე საათში. შეიარაღება—16—32 დიუიმიანი სანაღმოსნო აპარატები.

ამას გარდა 1926—29 წლამდე განზრახულია 21 წყალქვეშა ნავების აგება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაღმების გადასალობ საშვალებათა დამაზადებას. აპირებენ გაუმჯობესებული ტიპის ნაღმების გადასალობის შეკვეთას. მზადდება საომარი ნაღმების საგრძნობი მარაგი. დიდი—ნაღმების გადასალობი ჩაშვებული იქნება ამ უკანასკნელ ხანებში ლორიენტის ახლოს, სპეციალურად საოკეანო ომის საწარმოებლად და ახალშენების თავდაცვის მიზნით.

# ამბები სოფლებიდან

**დახმარება მუშ. საბინაო კოოპერაციას.**

შორაპნის აღმასკომმა დაადგინა მიიღოს ზომები მუშათა საბინაო კოოპერაციის ხელის შეწყობისათვის.

**კონკის გზა ფოთში.**

ფოთის აღმასკომმა დაადგინა გაიყვანოს ცხენმავალი რკინის გზა ქალაქის განაპირა ქუჩებზე.

**სკოლის გახსნა.**

შორაპნის აღმასკომმა დაადგინა გახსნას 4 წლიანი შრომის სკოლა სოფ. სახულარში.

**ბრძოლა უცოდინარობასთან.**

სენაკის პროფბიუროსთან დაარსდა წერაკითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების ბიურო.

**საკრედიტო ამხანაგობა სოფლად.**

სოფ. დვაბზუში (გურია) სამაზრო აღმასკომს განზრახული აქვს გახსნას საკრედიტო ამხანაგობა.

# ახალი ამბები.

— **ჩაი სამხედრო უწყებას.** წრევანდელი მოსავლიდან სახალხო მამულების ტრესტმა სამხედრო უწყებას მიჰყიდა 8.500 ფუთი ჩაი.

— **ლეგიონის დღესასწაული.** მე-4 ქართ. ტერლეგიონის ერთი წლის არსებობის გამო 20 სექტემბერს ლეგიონში გაიმართება ზეიმი.

— **მოუსავლიანობის გამოკვლევა.** მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიავლინა თავის წარმომადგენელი სამხრეთ ოსეთში მოუსავლიანობის გამოსაკვლევათ.

— **საცდელი სადგური.** მიწათმოქმედების კომისარიატმა მოაწყო მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგური სოფ. ურიათუბანში (კახეთი).

— **მავნებლებთან ბრძოლა.** მავნებლებთან ბრძოლის ბიურო შეუდგა ზემო-სვანეთში გაჩენილ ბელლის მავნებლებთან ბრძოლას.

— **ტფილისში მოწყობილ** შრ. კოლექტივებში ამ ჟამად მუშაობს 1300 კაცი.

— **სააქციონერო საზოგადოებანი ამიერ-კავკასიაში.** ამიერ-კავკასიაში არსებულ სააქციონერო საზოგადოებათაგან ნახევარზე მეტი სახელმწიფოა.

— **სოფლისათვის უშუალოთ** აგრონომიული დახმარების აღმოჩენის მიზნით მომავალ წელში განზრახულია დაიხარჯოს 256.101 მანეთი.

— **მატყლის მოთხოვნა.** ა. კ. სახ. ვაჭრობამ მიიღო მარსელიდან და ლონდონიდან მოთხოვნილება თუშურ მატყლზე. მატყლის პირველი პარტიები უკვე გაიგზავნა.

— **ყავა.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ინგლისიდან მოელის 1.100 ფუთ ყავას.

— **ტყავის მიღება.** საფრანგეთიდან ა. კ. სახელმ. ვაჭრობის კომისარიატი მოელის 4952 ფუთს და გერმანიიდან 12.500 ფუთ ტყავს.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**როგორ ზომავენ ზღვის სიღრმეს.**

ზღვის სიღრმის გასაზომავად სხვა და სხვა საშვალება არსებობს, მაგრამ ამ უკანასკნელად ერთმა ამერიკელ გამომგონებელმა წამოაყენა უფრო ადვილი და თანაც უცნაური საშვალება. ეს ახალი მეთოდი არის ბგერა, (звук) რომლის მოხმარებითაც ძლიერ ადვილად შეიძლება ზღვის სიღრმის გაზომვა. გემის ბაქანზე დადგმული აპარატი უშვებს ბგერითი ტალღებს, რომლებიც ვრცელდებიან წყალში ზღვის ძირის მიმართულებით—ხოლო შემდეგ უკანვე ბრუნდება გამოძახილის სახით.

გამოძახილის ტალღებს იჭერენ და აძლიერებენ რამოდენიმე მიკროფონები, ხოლო ის დრო, რომელიც გავიდა ბგერის გაშვებისა და მისი გამოძახილის დაბრუნების შორის აღინიშნება მეტის მეტად ზუსტი საათის მეოხებით. თუ ვიცით ბგერის გავრცელების სიჩქარე წყალში (1425 მეტრი) ადვილი გასაგები იქნება ზღვებისა და მდინარეების სიღრმის გაგება.

ეს აპარატი შესანიშნავი საშვალებაა, ზღვაზე ყინულის მთების არსებობის გასაგებადაც.

აპარატის შემწეობით შეიძლება აღმოაჩინო ყინულის მთა ისეთი დაცილებული მანძილიდანაც, რომ მისი დანახვა არ შეიძლებოდეს შეიარაღებული თვალითაც კი.

რადგან ზღვაზე მოხეტიალე ყინულის მთები ხშირად არის გემების დაღუპვის მიზეზი (მაგ. „ტიტანიკის“ დაღუპვა 1912 წელში) მათი (ყინულების) აღმოჩენის ახალი საშვალება დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საზღვაო მოგზაურობაში, რადგან მისი დახმარებით ყოველთვის შეიძლება გვერდი შეუაროს უზარმაზარ ყინულის მთებს.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. მაკარონს.** თქვენი კორესპონდენცია „ქრებალოს კოოპერატივის შესახებ“ გადაეცა გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციას.

**ამხ. შ. ბურ—ძეს** (1-ლი სარტ. ლეგ.)—კორესპონდენცია „დაუშვებელია ასეთი მოქმედება“ არ დაიბეჭდება, რადგან ამის შესახებ მოთავსდა ჩვენს გაზეთში.

**ამხანაგ რაფქურს.** (6-სე ტერლეგ.) წერილი „ტერ-ლეგ. საკავშირო ასეულის“ შესახებ არ გამოდგა.

**ამხ. ხარაზაშვილს.** (6-სე ლეგ.) თქვენი ლექსი „შვებულო“ არ გამოდგა. სწერეთ ნაწილის ცხოვრებაზე.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლი ქარ. მსრ. დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომ-პარტიის კანდიდატს ამავე ასეულის მეთაურის თანაშემწეს ამხ. იაკიმე თედორესძე ხურცილავას, მცხოვრებ ქუთაისის მაზრის, სოფელ კულაშის, პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ზემოაღნიშნული ამხ. შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 17 სექტემბრამდე შემდეგი მისამართით 1-ლი საკავშირო ასეულის კომუჯრედში.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

**დაიკარგა** ქართ. ცხენოსან ლეგიონის შტაბიდან გაცემული პარადობის მოწმობა №2516, მასწავლებელ არკადი დანელიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.